# საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 25 აპრილი, 2018 წელი

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 05-01/02

### სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის წესდების მე-17 მუხლის გ) ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 25 აპრილის №04-01/52 დადგენილების საფუძველზე

**წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:**

1.სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 1 პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში- უნივერსიტეტი) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (შემდგომში - სამსახური) არის უნივერსიტეტის მართვის ორგანო.“

1. 2. მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამსახური არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, რომლის სტრუქტურაში შედის რეესტრის წარმოებისა და დიპლომების განყოფილება, რომლის საქმიანობაც რეგულირდება ცალკე დებულებით.“

1.3. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამსახურის უფროსს 4 წლის ვადით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო, აკადემიური საბჭოს წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.“

1.4. მე-4 მუხლი ამოღებულ იქნეს.

1.5. მე-5 მუხლი ამოღებულ იქნეს.

1.6. მე-6 მუხლი ამოღებულ იქნეს.

1.7. მე-7 მუხლის 7.3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) რეკომენდაციების წარმოდგენა საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებისთვის უმაღლესი საგანამანთლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა თაობაზე;“

1. 8. მე-8 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ვებგვერდზე მოძიებული ინფორმაციის ქართულად თარგმნა და მომზადება უნივერსიტეტის ვებგვერდზე განსათავსებლად, მისი მიწოდება დაინტერესებული პირების, უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის სამსახურის უფროსთან შეთანხმებით;“

1.9. მე-8 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) უნივერსიტეტის ვებგვერდზე განსათავსებელი ინფორმაციისა და პრეს–რელიზების მომზადება;“

1.10. მე-8 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების, უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების (ტექნიკური მონიტორინგის) შევსებული ფორმების (ელექტრონული და ამობეჭდილი სახით) შეგროვება;“

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**წარმომადგენლობითი საბჭოს**
**სპიკერი** **თ. მეიშვილი**